

ეპატრიარქოს ოქრიძე

№15 14-24 აპრილი 2019 წ. გამოიცეა 1999 წლის 8 იანვრიდან
ვასი 70 თეთრი



საქართველოს
საპატრიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

№15
925



„ოსან ძე! დავითის! კურთხეულ არ მომავალი სახელითა უფლისაითა!“

- ✖ პატრიარქის ჩაღაბება
- ✖ „რომელსა ჰქონეთა ჩამი,
არა მოკუდას იგი უკუნისამდე“
- ✖ „მუდმივი სულიარი განაცლება
არის ძრისფიანული
ცხოვრების უმთავრასი
ელემენტი“
- ✖ გვესაუბრება დეკანოზი
სერაფიმე დანელია
- ✖ დეკანოზი ალექსანდრე შმეგანი
ჩაღაბება პზობის
ძლისასთაულზე
- ✖ ძართვალ ძართა მოღვაცემა
ათონის ივერთა მონასტარში
- ✖ ცაცხლის აღში გახვეული
პარიზის ღვთისებრობლის
ტაძარი
- ✖ ზეღუბნელი ყავილაშვილის
ოჯახი



ვოთისა და ხობის ეპარქია - ახალი საქართველოს უნივერსიტეტი ქართველ ბერთა მთარგმნელობითი მოღვაწეობა ათონის ივერთა მონასტერში

I

საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ათონის სავანე. 980 წელს იქ დაარსდა ივერთა მონასტერი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის იმანეს, მისი ვაჟის ექვთიმესა და ცნობილი ქართველი სარდლის - თორნიკე ერისთავის მეშვეობით. რაც შეეხება თავად მონასტრის სახელწოდებას, ის ანტიკური პერიოდის ქართული სამეფოს სახელწოდებიდან „იპერია“ (ივერია) იღებს დასაბამს.

ივერთა მონასტრის დაარსების ისტორია ასეთია: ბიზანტიის კეისრის ბასილი II-ის (958-1025 წწ.) წინააღმდეგ აჯანყდა მცირეაზიელი ფეოდალი პარდა სკლიაროსი (გარდაიცვალა 991 წ.). მეამბოხეთა ლაშქარმა თითქმის მთელი მცირე აზია იგდო ხელთ და ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნა. სამიერატორო კარმა დახმარებისთვის ერთგულ დიდებულებს მიმართა და, მათ შორის, დავით კურაპალატის (961-1001 წწ.). ბიზანტიილთა და ქართველთა ლაშქარმა 979 წელს სასტიკად დაამარცხა ამბოხებული პარდა სკლიაროსი. ქართველთა ლაშქარს თორნიკე ერისთავი ხელმძღვანელობდა. თორნიკემ, აჯანყების ჩახშობის შემდეგ, დიდალი დავლა იგდო ხელთ და ხელდაშვენებული დაბრუნდა ათონის მთაზე. ქართველებმა მონასტრის დაარსება განიზრახეს და 980 წელს დაიწყეს კიდევ ეს საქმე. 983 წელს მონასტრის შენება დასრულდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ათონის ივერთა მონასტრის წიგნთსაცავი, რომელიც დაახლოებით 2000 ხელნაწერს მოიცავს. მათ შორის არსებობს უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული ტექსტები. გარდა ამისა, ეს მონასტერი ათონის მთაზე არსებულ სხვა მონასტერთაგან მისი წმიდა რელიქვიებითაც გამოიჩინდა, მათ შორის, IX საუკუნის საყველთაოდ ცნობილი ხატით. ათონის ივერთა მონასტერი სავებით სამართლიანად ითვლება საზღვარგარეთ არსებული ქველი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად.

II

ათონის ივერთა მონასტერში ფართო მთარგმნელობითი მოღვაწეობა ხოლციელდებოდა. იქ მოღვაწე ქართველი ბერები თარგმნიდნენ ქრისტიანული ლიტერატურის სხვადასხვა ნიმუშს, თანაც, სათარგმნელი მასალის უაღრესად ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი. ამ დროის ცნობილი ქართველი მოღვაწენი იყვნენ იმანე (გარდ. 1005 წ.). და მისი ვაჟი - ექვთიმე (955-1028 წწ.). მათ ათონის მთაზე ფართო მთარგმნელობითი საქმიანობა გაშალეს, რითაც დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოში ქრისტიანუ-

ლი ლიტერატურის ათვისებისა და გავრცელების პროცესს. თავდაპირველად იმანე ივერთა მონასტრის წინამძღვარი იყო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კი მონასტრის წინამძღვარი გახდა მისი ვაჟი ექვთიმე, რომელიც მონასტერს 14 წლის განმავლობაში (1005-1019 წწ.) ხელმძღვანელობდა. იგი მონასტრის საძმოს სულიერ საქმიანობას განაგებდა და მონასტრის ყოველდღიურ ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობასაც უძღვებოდა. თუმცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ექვთიმე ათონელის სამცნიერო საქმიანობა. იგი განთქმული ქრისტიანი ავტორების ნაშრომებს თარგმნიდა ძველი ქერძული ენიდან ძველქართულად და პირუკუ. მის კალამს ეკუთვნის ახალი აღთქმის, გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელი), გრიგოლ ნოსელის, ბასილი დიდის (კესარიელი), მაქსიმე აღმისარებლისა და იმანე დამასკელის თხზულებათა ძველქართული თარგმანები. ექვთიმე განსაკუთრებით დაინტერესებული იყო კაპადოკიელი მამების შემოქმედებით. თვით იმ ნაშრომთა რიცხვიც კი, ექვთიმემ რომ თარგმნა, საოცრად დიდია. მან ქრისტოლოგის ყველა დარგის თხზულებები თარგმნა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი დღეს მხოლოდ ძველქართული თარგმანების მეშვეობით არის შემორჩენილი; ამდენად, მათი გათვალისწინება ამ თხზულებათა პირველწყაროების დადგენის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია. შემთხვევითი არ არის ექვთიმე ათონელის განსაკუთრებული დაინტერესება კაპადოკიელთა შემოქმედებით. „კაპადოკიის სამი მნათობი“ ქრისტიანული თეოლოგიის იმ მოდელის შემოქმედია, რომელიც დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას ქრისტიანული ფილოსოფიის კონტექსტში და ქრისტიანობის თანამდეროვე პრობლემების ინტერპრეტაციის დროსაც კი გვეხმარება. კაპადოკიელებმა ქრისტიანული რელიგიის ფილოსოფიური საფუძვლები შექმნეს და მართლმადიდებლობის გზა ისე მკვიდრად განსაზღვრეს, რომ ქრისტიანობის უძველეს კერძობი დიდი გავლენა მოიპოვეს კიდევაც. ქართული ფილოსოფიის ისტორიკოსები შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში „კაპადოკიელთა რენესანსის“ შესახებაც კი საუპრობენ (მაგალითად, გურამ თევზაძე), რადგან იმ დროს საქართველოში კაპადოკიელთა მრავალი ნაშრომის ძველქართული თარგმანი და კომენტარი შეიქმნა.

III

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც ექვთიმე ათონელმა ძველქართულიდან ქერძულად თარგმნა, არის „სიპრძე პალავარისა“ (ქრძ. „ვარლამი და იოსაფატი“). ექვთიმე ათონე-

ლის მიერ შესრულებული პერძნული თარგმანიდან სათავეს იღებს ამ ნაშრომის ლათინური ვერსია. მოგვიანებით, სხვა ენებზეც შესრულდა ამ ნაშრომის თარგმანები და მთელ შუა საუკუნეებში იგი ფართოდ გავრცელდა კიდევაც. ადრე ამ ნაშრომის პერძნული ვერსიის ავტორად ითანხ დამასკელი მიაჩნდათ. სინამდვილეში კი პერძნული ვერსიის დედანი არის ძველქართული ტექსტი, რომელიც ექვთიმებ პერძნულად თარგმანა. შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული პერძნული ვერსია ცალსახად ძველქართული დედნიდან იღებს დასაბამს. ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, თუ საიდან მოდის თავად ამ ნაშრომის ძველქართული ვერსია?!

„სიპრძნე ბალავარისა“ -ს ორი ვერსია არსებობს ძველ ქართულ ენაზე - მოკლე და ვრცელი! ისინი ერთმანეთისაგან არა მარტო მოცულობით განსხვავდებიან, არამედ არსებოთადაც. ზოგიერთი ქართველი მეცნიერი (სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ნუცუბიძე) იმ მოსაზრებას იზიარებდა, რომ ამ ნაშრომის მოკლე ძველქართული ვერსია უფრო ძველია, რადგან ვარლაამისა და იოსაფატის ისტორია ზეპირი ფორმის გზით გავრცელდა ინდოეთიდან საქართველოში. აქედან ითანხ მოსხმა (550-634 წწ.), ადრეული შუა საუკუნეების ცნობილმა მოღვაწემ, VII საუკუნეში ამ ნაშრომის ძველქართული მოკლე ვერსია მოამზიადა. მაშასადამე, ვრცელი ძველქართული ვერსია ამ ნაშრომისა წარმოადგენს მოკლე ძველქართული ვერსიის გვიანდელ განვითარებილ და დამუშავებულ ვარიანტს და შეიქმნა XI საუკუნეში.

ქართველ მეცნიერთა მეორე ჯგუფი (კორნელი კეკელიძე, ილია აბულაძე, დევიდ ლენგი) ფიქრობდნენ, რომ ამ ნაშრომის ვრცელი ვერსია უფრო ადრინდელია და IX-X საუკუნეებში არსებული არაპული დედნის ძველქართულ თარგმანს წარმოადგენს. მოკლე ძველქართული ვერსია კი არის ვრცელი ძველქართული ვერსიის შემოკლებული ვარიანტი. ამ ნაშრომის ისტორიის შესახებ არსებობს კიდევ ერთი ჰიპოთეზა, რომელიც ეკუთვნის რევაზ თვარიძეს. მას ორივე ძველქართული ვერსია ავთენტურად მიაჩნდა და ფიქრობდა, რომ მათი ჰიპოთეზაზე დამატებითი მიზანი იყო არის აზრით, ეს ქართული დედანი სათავეს უნდა იღებდეს სპარსული მოთხოვნიდან, რომელიც ასევე დაკარგულად ითვლება.

რატომ გახდა „სიპრძნე ბალავარისა“ ქართულ მეცნიერებაში ასე დიდი ყურადღების ღირსი? რატომ იყო ეს ნაშრომი შუა საუკუნეებში ასე გავრცელებული? რატომ მიაწერეს მისი ავტორობა ერთხანს ითანხ დამასკელს? რით გამოიჩინა ეს ნაშრომი? რა არის მისი და მასში გადმოცემული ისტორიის მთავარი ღირსება?

უნინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას ამ ნაშრომის ინტერკულტურულ კონტექსტსა და მნიშვ-



პროფესიონალ თანხის ირაშაპა

ნელობას. ადრეული პერძნიდის ქართულმა ფილო-სოფიამ ამით დიდი წლილი შეიტანა აღმოსავლური სიპრძნის დასავლურ სივრცეში ინტეგრირებისა და გავრცელების საქმეში. ამით მან ერთგვარი ინტელექტუალური შუამავლის როლიც კი აიღო თავის თავზე. „სიპრძნე ბალავარისა“ წარმოადგენს ბუდისტური სწავლების ქრისტიანულ გადამუშავებას. ის სამყაროს დასასრულისა და წარმავლობის იდეას შთამბეჭდავად გამოხატავს. აქ განხორციელდა ბუდისტურ და ანტიკურ სიპრძნეთა უაღრესად საინტერესო სინთეზი.

გონება აქ ადამიანური ვნებებისა და ემოციების გადალახვის საშუალებაა. სწორედ ისინი არიან ადამიანური ბედნიერების ხელისშემსლელნი, რადგან გარკვეული სურვილები და სიამოვნებები ადამიანისთვის უბედურების და ზიანის მომტანია. გონება და ცოდნა კი ადამიანს სამყაროსეული ყოფის ჭირვარამს გადაალახვინებს. ქრისტიანული რწმენისგან განსხვავებით, სულის ინდივიდუალური უკვდავება არ წარმოადგენს ტანჯვის გადალახვის გარანტიას. როგორც ხილვად, ასევე უხილავ სამყაროში არსებობს სწრაფვები და სწორედ მათში უნდა ვეძიოთ ტანჯვის საფუძველი. ინდური სიპრძნის მიხედვით, თვით ღვთაებანიც კი არ არიან დაცული ამისგან. ამ პრობლემის საპოლოო გადაჭრის გასაღები არის ყოველგვარი სხეულებრივისა და უსხეულოს, სამყაროსეულისა და არასამყაროსეულის, ხილულისა და უხილავის გადალახვა. სწორედ ამით მიიღწევა ნეტარების უმაღლესი მდგომარეობა და საპოლოო ნეტილი, რომელსაც ბუდიზმში ნირვანა ეწოდება.

ქრისტიანული რწმენის პერსპექტივიდან გამომდინარე, „სიპრძნე ბალავარისა“ ეფუძნება ანტიკურ წარმოადგენას გრძნობად-ცვალებადი სამყაროსა და გონით-უცვალებელ სამყაროს შორის გამიჯვნას. ამ თხზულებაში მკაფიო ასახვა პოვა როგორც პერაკელიტეს ქმნადობის მეტაფიზიკის ძირითადმა დებულებებმა, ასევე პარმენიდესა და პლატონის მოძღვრებამ გონების უცვლელი სამყაროს შესახებ. ნამდვილ არსებულს „სიპრძნე ბალავარისა“ ტრანსცენდენტურ სამყაროსთან აიგივებს, ხოლო არა-

სეპულს კი - გრძნობად სამყაროსთან, რომელიც ხრწნასა და წარმავლობას ექვემდებარება. თუკი ადამიანი ამისგან ვერ გათავისუფლდება, მაშინ იგი საკუთარ სულს დაზიანებს. წამდვილი სამყაროს-კენ გზის გაკვალვაში კი ადამიანს მხოლოდა გონება თუ დაეხმარება.

ტრანსცენდენტური არსის სრულყოფილი არსებობის დასამტკიცებლად ღმერთის არსებობის კოსმოლოგიური არგუმენტი გამოდგება, რომელსაც შემდეგი სტრუქტურა აქვს: ადამიანური გონება შედეგიდან მიზეზზე დაასკვნის. კონკრეტულად თუ ვიტყვით, საქმის ეს ვითარება შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: როგორც ყველა ნაგებობას ჰყავს თავისი არქიტექტორი, ასევე საჭიროებს უმაღლესი შენობა - სამყარო - შემოქმედს. ეს შემოქმედი კი არის ღმერთი. ადამიანური გონება ეძიებს და პოულობს ტრანსცენდენტური არსის არსებობის საკმაო საფუძველს. ღმერთის არსებობის ეს არგუმენტი, რომელიც ანტიურ ფილოსოფიურ ტრადიციას (პლატონი, არისტოტელე) ეფუძნება, შემდეგაც დიდი ყურადღებით სარგებლობდა. არა მარტო შუა საუკუნეების ფილოსოფოსები, არამედ ახალი დროის ისეთი დიდი მოაზროვნებიც კი, როგორებიც იყვნენ გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი, ქრისტიან ვოლფი, კანტი და ჰეგელი ამ არგუმენტს დიდი სერიოზულობით განიხილავდნენ.

ახლა სავსებით ცხადია, რომ „სიბრძნე ბალავარისა“ ინტერულტურული აზროვნების კონტექსტში საგანგებო ადგილს იკავებდა, რადგან ის იყო აღმოსავლური და დასავლური კულტურების დაახლოებისა და დიალოგის წარმატებული მცდელობა. ამ ნაშრომის მნიშვნელობა ასევე დიდია იდეების ისტორიის ჭრილში, რადგან ის ავითარებდა - მიუხედავად იმისა, რომ, პირდაპირ თუ ირიბად, ქრისტიანობის უპირატესობას წარმოაჩენდა - ერთმანეთის აღიარების მრავალმხრივ და პროგრესულ კონცეფციას. გარდა ამისა, ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ ნაშრომის ავტორი მრავალ ფილოსოფიურ კითხვასა და პრობლემას წამოქრის და ორიგინალური სახით ამუშავებს კიდეც. ამდენად, ის არა მარტო ქართული კულტურისთვის, არამედ აღმოსავლური (ბუდისტური და ისლამური) და დასავლური (ქრისტიანული) აზროვნების კონტექსტშიც კი უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა.

IV

ექვთიმე ათონელი მრავალმხრივი მოღვაწე იყო, იგი მრავალი მიმართულებით იღვნოდა და მეცნიერების სხვადასხვა დარგს ამუშავებდა. დოგმატური და პოლემიკური თხზულებების მისეული თარგმანები საგანგებო ყურადღებითა და აღიარებით სარგებლობდა. ლიტურგიკული და ჰაგიოგრაფიული ტექსტებიც მისი ინტერესის სფეროს ქმნიდა. შეიძლება ითქვას, რომ წარსული დროისა და მისივე ეპოქის აღმოსავლური ქრისტიანობის თითქმის ყველა

მნიშვნელოვანი წარმომადგენელი მისი საგანგებო ინტერესის საგანგებო წარმომადგენდა. მას საეკლესიო სამართლის დარგშიც კი მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. მექედაც მსოფლიო საეკლესიო კრეპის საეკლესიო კანონებისა და აქტების (თეზისების) ქართული თარგმანებიც მის კალამს ეკუთვნის.

V

იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება და შემოქმედება აღწერა მათი საძმოს უმცროსმა წევრმა გიორგი მთაწმინდელმა (1009-1065 წწ.) თავის თხზულებაში სახელწოდებით - „ცხოვრება წეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვებესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაც“. გიორგი მთაწმინდელი თავისი დროის გამოჩენილი პიროვნება გახლდათ. მან ათონზე განაგრძო და განავრცო იოანესა და ექვთიმეს მიერ დაწყებული მთარგმნელობითი საქმიანობა. ქართული კულტურა უდავოდ გამდიდრდა დიდი ქრისტიანული ლიტერატურის მისეული თარგმანების წყალობითაც. გარდა ამისა, გიორგი მთაწმინდელი დაინტერესებული იყო კაბადოკიელთა შემოქმედებით, განსაკუთრებით კი, გრიგოლ ნოსელის ნაშრომებით. მან თარგმნა გრიგოლ ნოსელის „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვეს“, რომელმაც ბიბლიური კოსმოლოგიისა და სამყაროს შექმნის შესახებ მოძღვრების წყალობით ქართულ კულტურაში დიდი როლი ითამაშა.

გიორგი მთაწმინდელმა გრიგოლ ნოსელის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანების თხზულება „შესაქმისათვის კაცისა“ თარგმანა ძველქართულად. გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის პასილი დიდის (კესარიელი) ნაშრომის „ექუსთა დღეთათვეს“ ძველქართული თარგმანი. მასში, ქრისტიანული ფილოსოფიის პერსპექტივიდან გამომდინარე, სამყაროს ბიბლიური შესაქმეა განხილული. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომზე პასუხს წარმოადგენს გრიგოლ ნოსელის ნაშრომი „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვეს“. აღსანიშნავია, რომ ორივე თხზულებამ და მათმა თარგმანებმა ძველქართულ ენაზე ქართულ ფილოსოფიისა და თეოლოგიის დიდი სამსახური გაუწია.

გიორგი მთაწმინდელმა ეკლესიის სხვა მამებისა და მწერლების (მაგალითად, იოანე ოქროპირი, ათანასე ალექსანდრიელი და იოანე დამასკელი) ნაშრომთა თარგმანებიც შეასრულა. მის მიერ ათონის მთაზე შესრულებული თარგმანები და კვლევა-ძიებანი განსაკუთრებულ წინაპირობებს ქმნიდა ქართული ფილოსოფიისა და ლითისმეტყველების განვითარების პროცესში.

თენციზი ირემაძე

**ახალი საქართველოს უნივერსიტეტის
პროფესორი, კავკასიური ფილოსოფიის
და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი
არქივის დირექტორი**